იმერეთი

№ 111 — ყოველდღიური გაზეთი — ᲬᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ 1914 — № 111

ᲤᲐᲡᲘ: წლიურად 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურად 3 აბ. **ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲣᲛᲔᲠᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲤᲐᲣᲠᲘ.**

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გადიხდონ, ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილად. საზღვარგარეთ წლიურად 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურად 6 აბაზი.

ᲒᲐᲪᲘᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კაკეტისის გამოკლ მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამკლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სტრიქონს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანეთი.

ᲡᲐᲛᲨᲑᲐᲗᲘ 22 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲗᲝᲑᲐ

მისამართი: ქუთაისი, ფერადოვის ქუჩა, ფერადოვის ოთხმაქის ქარხნის პირდაპირ შესახვევში. სახლი ოცხელიანი.

ტელეფონი № 4.

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ �გᲐᲖᲔᲗᲘ

„იმერეთი“

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

სულის მოწერა მიიღება 1914 ლისათვის

გაზეთის ფასი:

ერთი წლით	7 მანეთი.
ნახევარი წლით	4 მანეთი.
ერთი თვით	3 აბაზი.
და ცალკე ნუმერის	1 შაური.

წლიური დასაკვეთიეთაზ ისზ ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაკ—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურად ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თვიურად 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაკავ-სამკითხველოებს გაზეთის ეთმობათ წლიურად 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურად 3 აბაზეთ.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით редакція „ИМЕРЕТИ“ Гавриилу Ивановичу Дарахвелидзе სხვა **გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.**

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაუკვეველად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წერილმან წერილებმა გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘᲣᲠᲘ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘ.

მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲔᲑᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ:

ᲓᲘᲚᲘᲗ.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ-ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲜᲐᲠᲒᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲠᲒᲝᲠᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ Ვ. Ვ. ᲛᲝᲡᲘᲔᲕᲘᲚᲘ ᲨᲘᲜᲐᲒᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲜᲔᲒᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ბ. ა. ᲨᲐᲠᲐᲥᲝᲫᲝ—ყელის, ცხვირის, ყურისა.	1—2
გ. Ნ. ᲜᲐᲪᲐᲠᲐᲫᲔ.—შინაგანი და ბავშის	10—11
ა. ა. ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲝᲜᲘᲡ—ოსტეტარი, ქალთა, საბებია ყოველ ღღე	11—2
მ. დ. ᲑᲔᲗᲝᲜᲘᲫᲔ.—კანის, ათაშნაგი, ვენერ.	12—2
გ. ა. ᲭᲝᲓᲝᲛᲨᲕᲘᲚᲘ—საბებ., ქალთა და შინაგ.	12½2ᲡᲐ

ᲡᲐᲦᲐᲛᲝ Თ.

გ. დ. ᲥᲐᲠᲥᲨᲕᲘᲚᲘ—თვალის ხუთშაბათობით	4½—5½
გ. ა. ᲭᲝᲓᲝᲛᲨᲕᲘᲚᲘ—საბებია, ქალთა და შინაგ.	5½—6/

სამკურნალოსთან მოწყობილია სააქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტაციურად. აერის ცალკე ოთახები მძიმე ავთმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ᲭᲝᲓᲝᲛᲨᲕᲘᲚᲘ

კონსტანტინე ივ. ძის ოცხელიასა და ამხ.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

იბეჭდება და მალე გამოვა გასაყიდად:

არითმეტიკული ამოცანებისა და რიცხვითი სავარჯიშოების **ᲞᲠᲔᲒᲣᲚᲘ** პირველ დაწყებითი შოლლებისათვის, შედგენილი ქუთაისის საანაურო შოლის მასწავლებელთა მიერ.

კრებული დასურათებულია და ღირს 7 შაურად.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ-ᲨᲠᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲣᲬᲧᲔᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲚᲘ

ᲡᲐᲒᲣᲜᲓᲝ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

გ. გ. გიგინეიშვილისა

კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიშში.

კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მან. სწავლა კურსებზე იწყება 15 ეკენისთვიდან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა).

კურსების გამგე: გ. გ. გიგინეიშვილი.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲬᲛ. ᲜᲘᲜᲝᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲐᲛᲘᲗ ᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ

1. **თავისუფალი ადგილები არის ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲚᲐᲡᲨᲘ. 2. თხოვნები და საჭირო მოწმობები მიიღება 20 აგვისტომდე. 3. გამეორებითი და მასალები გამოცდები დაიწყება 21 აგვისტოდან.**

მერვე კლასში შესვლის მსურველმა თხოვნებთან ერთად უნდა წარმოადგინონ ნახევარი წლის გადასახადი 57 მან. 50 კაპ. წინაადმდეგ შემთხვევაში, საჭო არ განიხილავს მათ თხოვნებს. თხოვნებთან ერთად უეჭველათ უნდა იქნას წარმოდგენილი უწმ. სინოდის კანტორის მეტრიკული მოწმობა და არა ამოწერილობა.

Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ
ᲙᲐᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ

ს. ა. ᲪᲔᲘᲢᲚᲘᲜᲘ.

კბილის და პირის ავთმყოფობა. ხელოვნური კბილების კეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახფანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ 153.

ᲔᲥᲘᲛᲘ Ა. Მ. **ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ** ღებულობს ავთმყოფებს, ქალის, **ᲕᲜᲔᲠᲘᲡ**ᲐᲜᲘ (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელეკტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).

Ვ. ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ

ᲔᲥᲘᲛᲘ Ვ. Ი. **ᲙᲐᲙᲘᲢᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავთმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელეკტრონით შანაოვება (ცისტოსკოპით) ათაშნგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელეკტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელეკტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

მისამართი: ქარგასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

ᲔᲥᲘᲛᲘ მ. დ. ᲑᲔᲗᲝᲜᲘᲫᲔ **ᲒᲐᲜᲘᲡᲐ, ᲕᲜᲔᲠᲘᲣᲚᲘ, და ᲡᲥᲔᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲣᲛᲚᲣᲠᲘᲔᲑᲘᲗ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲗ** დილის 9—12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **Გ. Ე. ᲛᲐᲡᲣᲨᲕᲘᲚᲘ** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავთმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღეის 5 ს.—8 საათამდი.

გოშაიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

ᲔᲥᲘᲛᲘ კ. **ᲤᲣᲨᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ღებულობს ავთმყოფს (ვენერიული, კანის, ᲩᲚ სიფილისისა) **ᲐᲒᲒᲕᲘᲒᲘ ᲒᲐᲡᲘᲡᲠᲓᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲝᲗ ᲡᲘᲡᲘᲡᲚᲘᲗ.** დილით 9—1, საღამოთი 6—8 ვიტუშინსკის სახლი, რიონის პირათ პუშკინის ქუჩიდან შესახვევი.

ᲔᲥᲘᲛᲘᲐ Ი. **ᲩᲐᲠᲚᲔᲥᲝᲕᲐ** შესწყვეტა ავთმყოფების მიღება ექვს აგვისტომდის.

ᲔᲥᲘᲛᲘ Ი. Ა. **ᲪᲘᲤᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘ** გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შავი ქვის საბეჭს ზეკით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავთმყოფებს. მიიღება ავთმყოფები დილით 10—1 ს., საღ. 5—8 საათ.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲘᲜᲢᲘᲛᲘᲡᲢᲘ

ᲙᲐᲢᲔᲓᲠᲐᲚᲘᲡᲢᲘ. ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲗ.

მოწყალებითა ღვთისათა **ᲩᲕᲔᲜ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲛᲔᲝᲠᲔ** იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვათა და სხვათა და სხვათა, ვუცხადებთ ჩვენს ერთგულ ქვეშევრდომთ: იცავს რა თავის იმპერიულ ანდერძს ერთ მორწმუნე და ერთი სისხლისა-დანარჩენ სლავიანურ ხალხებთან რუსეთი არაოდეს არ უყურებდა გულგრილათ მათს ბედს და სრულის ერთსულოვნობით ჰფარავდა მათ. ეს ძმური გრძნობა რუსის ხალხისა სლავიანებისადმი უაღლესათ გაძლიერდა ამ უკანასკნელ დღეებში, იმ დროს, როდესაც ავსტრო-უნგრეთმა წარუდგინა სერბიას თვითმპყრობელ სახელმწიფოსათვის ყოველად შეუწყნარებელი, წინაგანზრახული და აუსრულებელი მოთხოვნილებანი. უგულებელყო ჰაო რა დათმობანი და მშვიდობის მოყვარე პასუხი სერბის მთავრობისა, უარყო რა კეთილმოყოფელი შუამდგომლობა რუსეთისა, ავსტრიამ სწრაფულად დაიწყო ომი და უმზეო ბელგრადს ყუმბარები დაუშინა. ამგვარ გარემოებისა გამო, ჩვენ იძულებული შევიქენით მიგვეღო ზომები სიფრთხილისა და ვუბრძანეთ ჯარი და ფლოტი დაეყენებიათ საომარ ფეხზე; მაგრამ ძვირფასია რა ჩვენთვის სისხლი და ქონება ჩვენსა ქვეშევრდომთა, ყოველივე ღონესა ვხმარობდით, რათა მშვიდობიანათ გათავებულიყო უკვე დაწყებული მოლაპარაკება. მეგობრული ურთიერთობით ავსტრიასთან შეკავშირებულმა გერმანიამ, წინაადმდეგ ჩვენის იმედებისა, იმ იმედებისა, რომელსაც ვამყარებდით ჩვენ მასზე, როგორც საუკუნოებით განმტკიცებულ მეზობლებზე, ყური არ ათხოვა იმ ჩვენს რწმუნებას, რომლითაც ჩვენ ვუმტკიცებდით, რომ ჩვენგან მიღებული ზომები არ იყო მისდა სამტროთ მიმართული და მოგვთხოვა ამ ზომების დაუყოვნებლივ გაუქმება, მაგრამ მიიღო რა ჩვენგან უარი, ანაზღეულათ გამოუცხადა რუსეთს ომი. ამირიდან ჩვენ გვიხდება არა მარტო დაცვა უსამართლოდ შეურაცხყოფილ მონათესავე ქვეყნისა, არამედ დაცვა რუსეთის პატიოსნებისა, ღირსებისა. მთლიანობისა და დიდსახელმწიფოთა შორის სათანადო მდგომარეობისა. ჩვენ შეურყეველათ გვწამს, რომ დასაცავათ რუსეთის მიწა-წყლისა ერთის გრძნობითა და თავგანწირვით აღსდგება ყველა ჩვენი ერთგული ქვეშევრდომი.

ამ მრისხანე ჟამსა განსაცდელისასა დავიწყებულიმც იყოს შინაური შფოთი და განხეთქილება, განმტკიცდებოდეს ერთობა მეფისა თავის ხალხთან და დაეთრგუნოსმცა, ერთი კაცივით ფეხზე ამდგარ რუსეთს თავნდებური შემოტევა მტერისა. უღრმესად გვწამს რა სიმართლე ჩვენი საქმისა, მარჩილათ ეეურდნობით მარჯვენასა ყოვლად ძლიერის უმაღლესის განგებისასა, და ლოცვად გამზადებული მოვეუწოდებ კურთხევასა ღვთისასა წინაღა რუსეთისა და მის ძლევა მოსილ მხედრობის თავსა ზედა. მიეცემულია ქალაქსა პეტერბურგსა, ივლისის 20 დღესა, დაბადებიდან ქრისტისა ათასცხრაასთოთხმეტსა წელს, მეფობიდან ჩვენისა კი წელსა მეოცესა.

დედანზე მისის იმპერატორებითი უმაღლესობის ხელით აწერია: **ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ**

ᲟᲝᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲝᲙᲕᲚᲐ.

ᲑᲐᲠᲐᲖᲐ (საგანგებო) საღამოხანს პროსანის ყაყიბანაში თავის რამდენიმე მემობართან ერთად საღილობდა ᲟᲝᲠᲔᲡᲘ. იგი იჯდა შუაშაბანთან ქუჩის მხარეს. შუაშანდლს ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული. უცბათ გადაიხდა ფარდა, გამოჩნდა ვიღაცას ხელი და გიასმა სროლის ხმა, ᲟᲝᲠᲔᲡᲘ დაეჯრა თავში ორი ტყვიით და მალეც გადაიცვალა. მკვლელი დაუჭონებლივ დაატყვევეს, მაგრამ ვინაობის თქმაზე უარი განაცხადა. მას უპოვეს რევოლვერი და სალარბაზო ბარათი, საიდან აღმოჩნდა, რომ მკვლელი ყოფილა ლეგრის სასწავლებლის მსმენელი. მთავრობა გამოაკრავს განცხადებას და გამოსთქვამს თავის პროტესტს უდიდესი ორატორის მოკვლის გამო, იმ ორატორისა, რომელიც მთელს თავის სიცოცხლეში იცავდა უმაღლეს იდეებს და არავვედა უდიდესს საკითხებს. შემდეგ მთავრობა მიმართავს ერის მამულიშვილობას და სთხოვს, მიუხედავათ მგლოვიარობისა, დაიცვას სრული სიმშვიდე, ვინაიდან ამას მოითხოვს დღევანდელი მდგომარეობა.

ᲥᲐᲜ ᲟᲝᲠᲔᲡᲘ.

იმ დროს, როცა მთელი ევროპა უსასტიკეს ომის წინა დღეებს განიცდის და ზოგიერთ მის ნაწილებში კიდეც იწვის უკვე ტყვია-წამალი, ტელეგრაფება მოვიტანა ცნობა რომ ვიღაც ბოროტ გამძრახველმა მოჰკლა ᲟᲝᲠᲔᲡᲘ. ჩვენი დროის კაცობრიობა ძვირად იტყვის მეორე სახელს, რომელსაც ისეთი მაგიური გავლენა ჰქონდა მთელ განათლებულ კაცობრიობაზე, როგორც განსვენებულ ᲟᲝᲠᲔᲡᲘ. ერთი უდიდესი ორატორთაგანი თანამედროვე კაცობრიობისა, უნიკუმერესი სახელმწიფო მოღვაწე და შესანშნავი სოციალისტი, რომლის გაბედულ ხმასაც მთელი ევროპა უწევდა ანგარიშს, აი ვინ იყო ᲟᲝᲠᲔᲡᲘ! მისის სიკვდილით სამუდამოთ დადუმდნენ ბაგენი ზედან ტრიბუნისა, რომელსაც კი იცნობდა კაცობრიობა, ᲬᲓᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲘᲪᲔᲠᲝᲜᲘᲡᲐᲓᲐ და მასზე კიდევ უძველესი დროიდან.

ყოფილი პროფესორი ისტორიისა, ღრმად განათლებული და აღნაშნული უმაღლეს ტემპერამენტით, მან მალე მიატოვა პროფესურა. მან თავისი თავი სოციალისტად—გამოაცხადა და მალე შეესაჩნევი ადგილი დაიკავა საერთაგვეთის სოციალისტებ შორის. ხოლო როცა დეპუტატათ გახდა, თავის ორატორულ ნიჭის წყალობით მსოფლიო სახელი მოიხვეჭა. ჩვენ განზრახ უსვამთ ხაზს ᲟᲝᲠᲔᲡᲘᲡ ნიჭს. ამ გარემოებას ᲪᲝᲢᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ არ ჰქონდა თანამედროკეს სოციალიზმისათვის. ადამიანები მუდამ სკემდენ თაყვანს ნიჭიერებას და ᲟᲝᲠᲔᲡᲘᲪ იმ არაჩვეულებრივ პირთ ეკუთნოდა რომლებიც თავის ძლიერ ნიჭის წყალობით, სოციალიზმისადმი მოპირდაპირეებში პატივისცემის გრძნობას აღვიძებდა. ბევრი ჰყავს და ჰყავდა თანამედროვე სოციალიზმს თვალსაჩინო ბელადი, მაგრამ მათ სდევნიდენ, ცდილობდენ მათი სახელისთვის ჩრდილი მეყენებინათ და მხოლოდ ერთი ᲟᲝᲠᲔᲡᲘᲡ იყო, რომლის შესახებ შური და ღვარძლი თავს მაღლა ვერ იღებდა—იმდენად შობნიბლავი და ძლიერი იყო მისი სახელი. მთელი ქვეყანა გაოცდა, როცა რამდენიმე ხნის წინათ ᲟᲝᲠᲔᲡᲘ ნება არ მისცეს ბერლინში მოხსენება წაეკითხა და ეს იმიტომ, რომ ᲟᲝᲠᲔᲡᲘ ისპანი იყო, რომელსაც ყველა და ყველგან უსმენდნენ.

რითი ავხსნათ ᲟᲝᲠᲔᲡᲘᲡ მოკვლა იმ მოსალოდნელ სისხლის წვიმების დროს, როცა მთელი კაცობრიობა მასში მშვიდობიანობის მოცაქულს ხედავდა და კერძოთ საერანგეთი კი საუკეთესო პატრიოტს, რომლის ᲩᲕᲣ და ღრმა სახელმწიფო გამოცდილებაც მხოლოდ სარგებლობას მიუტანდა სამშობლოს გაჭირვების დროს, იქნება ᲟᲝᲠᲔᲡᲘᲡ სიკვდილი დასაწყისია სახელმწიფო წესწყობილობის შეცვლისა, რომლისაც მუდამ ეშინოდა და ეშინიან რესპუბლიკურ საერანგეთს ყოველ ომიანობის დროს—მაგრამ დანაშდეგლებთ ჩვენ ეს ჯერ არ ვიცით. ვიცით მხოლოდ რომ იგი მოჰკლა რეიმსის სამოქალაქო მდივნის შვილმა რაულ ვილლენმა.

მაგრამ თუ ᲟᲝᲠᲔᲡᲘᲡ სიკვდილს გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მარტო შესანშნავ ადამიანის სიკვდილს, თუ ამ სიკვდილში გარეულია რაიმე პოლიტიკური მოსაზრება, უნდა ვიფიქროთ, რომ ბალლის მამალი არ დაყოვნებს დაყივლებას.

ᲓᲔᲑᲔᲨᲔᲑᲘ.

(ᲩᲕᲔᲜ. ᲓᲐᲬ. ᲡᲐᲣᲒᲠᲔᲢᲝᲡᲒᲐᲜ).

ᲑᲐᲠᲐᲖᲘᲐ. რეიხსტაგის მოწვევა განზრახულია 22 ივლისისათვის. რეიხსტაგი

გაიხსნება საიმპერატორო სასახლის თეთრ დარბაზში. მოელიან იმპერატორის ბრძანებას.

პრინცმა ოსკარ ბრუს

.ad იქორწინა გრაფინია ინნა — მარიამ ბასევიჩის ასულზე.

ლონდონი. გაზ. „ტიმესი“ მოწმენიად წერილში ამბობს: ჩვენ ვიხელმძღვანელთ ჩვენი მეგობრებისადმი მოვალეობის გრძნობით; აგრეთვე თვითდაცვის პრინციპები კიდევ უფრო თვალსაჩინოა ჩვენთვის. ჩვენ უფლება არა გვაქვს შეიარაღებულნი ჩუმათ ვიდგეთ „და უყუროთ ჩვენი მეგობრების საშიშარ მდგომარეობას, თუ ომის ბედი მთავენ არ იქნება; რადგანაც შესაძლებელია დადგეს ჩვენი ჯერიც და კი არავინ დაგვეხმაროს. მშვიდობიანობის დამყარების საკითხი ჩვენთვის ახლა უმთავრესი აღარ არის. ჩვენთვის ახლა საყურადღებოა საკითხი თვითდაცვისა. ჩვენ უნდა გვაკეთოთო ჩვენი საქმე. ამიტომ თუ ჩვენ ჩავებით ომში, მაშინ მთელი ქვეყანა არ დაიშურებს არავითარ მსხვერპლს, და ეცდება გამარჯვებულთან გამოიდეს ბრძოლიდან, რომელიც მის ეროვნულ არსებობას განსაცდელს უქადის.

ბერლინი. გაზ. „ნორდ დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგის“ საგანგებო ნუმერში დაბეჭდილია წერილი, რომელიც შეეხება ავსტრია-სერბიის უთანხმოებას. გაზეთი ამბობს: თუ რუსეთს განზრახვა აქვს სამხრეთ სლავიანთა ინტერესების დაცვა იმ გზით, რომ დაანგრიოს ავსტრო-უნგრეთის სახელმწიფო, მაშინ ასეთი მისი პოლიტიკა დიდათ ეწინააღმდეგება გერმანიის არსებით ინტერესებს, ვინაიდან გერმანიისათვის აუცილებლათ საჭიროა აღმოსავლეთითია და დასავლეთით ჰყავდეს ისეთი ძლიერი და ღონიერი სახელმწიფო, როგორიც არის ავსტრო-უნგრეთი. გაზეთი აღნიშნავს იმ საყურადღებო გარემოებას, რომ გერმანია დიდათ შეეცადა ევროპის სახელმწიფოთა დახმარებით დაეცვა მშვიდობიანობა. ჯერ ვენაში არ დასრულებულიყო დიპლომატიური მოლაპარაკება, რომ მოვიდა ოფიციალური ცნობა: რუსეთმა უკვე გამოცხადა თავის ჯარების მობილიზაცია ავსტრო უნგრეთისა და გერმანიის საწინააღმდეგოთო. იმპერატორმა დეპეშა გაუგზავნა რუსეთის იმპერატორს და შეატყობინა, რომ თქვენ მიერ გამოცხადებული მობილიზაცია ხელს შეუშლის ჩემ დიპლომატიურ შუამდგომლობასო. დიპლომატიური მოლაპარაკება მაინც არ შეწყვეტილა. ამ მოლაპარაკების მეოხებით ვენაში კიდევ გადასწყვეტენ მიეღოთ ხელსაყრელი პირობები, მაგრამ ამ დროს გერმანიის მთავრობამ ოფიციალური ცნობა მიიღო, რომ რუსეთმა მობილიზაცია კიდევ გამოაცხადოო. იმპერატომა ვილჰელმმა დეპეშით დაუყოვნებელივ აცნობა რუსეთის იმპერატორს ჩემი სახელმწიფოს ინტერესების უზრუნველყოფა მიიძულებს მიეღო საგები ზომები. ამავე დეპეშაში აღნიშნული იყო ის გარემოებაც, რომ გერმანიის იმპერატორმა საერთაშორისო მშვიდობიანობის დასაცავათ უკიდურესს ომებსაც კი მიჰმართა. მშვიდობიანობას ევროპაში მხოლოდ მაშინ არ დაირღვევა, თუ რუსეთი გერმანიისა და ავსტრო უნგრეთის საწინააღმდეგო მუქარებს თავს დაანებებსო. ამგვარადო, დასძენს გაზეთი, — გერმანიას აღარავითარი ბრალი არ დადებია. ახლა კი დადგა ის დრო, როდესაც გერმანია იძულებულია სამოქმედო ასპარეზზე გამოიდესო.

პეტერბურგი. „ოფიციალურათ“ — რადგანაც საზღვარგარეთის პრესაში ყალბი ცნობები გავრცელდა უკანასკნელ ამბების შესახებ, გარეშე საქმეთა სამინისტრო თავის მოვალეობათა სთვლის გამოაქვეყნოს შემდეგი მოკლე მიმოხილვა ამ უკანასკნელ დღეებში მომხდარ დიპლომატიურ ურთიერთობისა: „თ ივლისს ამა წლისა ბელგრადში მყოფმა ავსტრო-უნგრეთის დესპანმა ჩაპპარა ბატონის მინისტრ-პრეზიდენტს ნიტა, რომელთაც ბრალსა სდებდა სერბის მთავრობას იმაში, რომ იგი ხელმძღვანელობდა რა დიდ სერბიის მოძრაობას, ხელი შეუწყო ავსტრო-უნგრეთის მემკვიდრის მოკვლას. ამის გამო ავსტრო-უნგრეთი თხოულობდა სერბიის მთავრობისაგან არა მარტო იმას, რომ ავსტრო-უნგრეთის კონტროლს, ქვეშ ყოფილიყო საქმის გამოძიება შეთქმულობისა, აღმოჩენა და დასჯა სერბიის დამნაშავე ქვეშევრდომთა, არამედ ავსტრო-უნგრეთი თხოულობდა, რომ მოძალმეობაც სერბიას არ განეძრახა არავითარი საწინააღმდეგო ავსტრო-უნგრეთისა. ამ ნოტაზე პასუხის მისაცემათ ავსტრო-უნგრეთმა მისცა სერბიის მთავრობას 48 საათი ვადათ.

საიმპერატორო მთავრობას, რომელმაც 17 საათის შემდეგ შეიტყო ბელგრადში წარდგენილ ნოტის შინაარსი, არ შეეძლო არ დაენახა, რომ ამ ნოტას ზოგიერთი მოთხოვნილებათა ასრულება ბუნებრივათ შეუძლებელი იყო, ხოლო დანარჩენი მუხლები ისეთის ფორმით იყო გამოთქმული რომ იგი ამცირებდა სერბიის ღირსებას, როგორც დამოუკიდებელ სამეფოისას და აძლევდა ავსტრო-უნგრეთს უპირატესობის ბალკანეთში. რუსეთის მთავრობამ წმინდა მეგობრული კილოთი ურჩია ავსტრო-უნგრეთს, რომ ნოტაში გამოთქმული მოთხოვნილებანი ხელმეორეთ განეხილათ. ავსტრო-უნგრეთის მთავრობამ საკროთი არ დაინახა მიეღო ჩვენი რჩევა და ამგვარათ რჩევა იგი დარჩა უყურადღებოთ

პეტერბურგი. „ოფიციალურათ“ (გაგრძელება) იმის და მიუხედავათ, რომ სერბიამ დავმო საშინელი პროტოტმქმედება და მზათაც იყო დაეკმაყოფილებია ავსტრო-უნგრეთი იმ ზომამდე, რომელსაც არ მოელოდენ არამც თუ რუსეთი, არამედ სხვა სახელმწიფოებიც, ბელგრადში მყოფმა ავსტრო-უნგრეთის დესპანმა სერბიის პასუხი დამაკმაყოფილებლათ ვერ იცნო და ბელგრადი დასტოვა, თუმცა ისიც გრძნობდა რომ მძიმე პირობებს უდებდა სერბიას. რუსეთმა განაცხადა, რომ ამის შემდეგ მას არ შეუძლია გულგრილათ შეხედეს ამ ამბებს, თუმცა ამავე დროს უარს არ ამბობს მიიღო ყოველივე ზომები და იპოვოს მშვიდობიანი გზა, რომელიც არ შეურაცხყოფს ავსტრო-უნგრეთის თავმოყვარეობას, როგორც დიდი სახელმწიფოსას. ამასთანავე რუსეთს მტკიცეთ ქონდა გადაწყვეტილი ეს მშვიდობიანობის გზა მოეხახა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გზა არ დაამკირებდა სერბიას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს. სამწუხაროთ ყოველივე ზომა, რომელიც მიღებულიყო საიმპერატორო მთავრობისაგან, ამაო გამოდგა. ავსტრო-უნგრეთის მთავრობამ ბეგრი აუარა სხვა სახელმწიფოთა შუამდგომლობას და შეუდგა მობილიზაციას. ოფიციალურათ გამოუცხადა რა სერბიას ომი, მეორე დღესვე ბელგრადს ყუმბარები დაუშინა. იმ მანიფესტში რომელიც მოაყვა სერბიასთან ომის გამოცხადებას პირდაპირ არის ნათქვამი, რომ სერბიამ მოამზადა სარაევში მოხდარი ბოროტმქმედება ასეთ გამტყუნებამ მთელის ერისა და სახელმწიფოისა სისხლის დანაშაულში, დიდი თანაგრძნობა მოუპოვა სერბიას ევროპის საზოგადოებრივ წრეებში.

ასეთმავე მოქმედებამ ავსტრო-უნგრეთის მთავრობისამ, იმის და მიუხედავათ რომ რუსეთმა გამოაცხადა, რომ ბელგრადი ვერ შეიხდება სერბიაში მომხდარ ამბავს, საიმპერატორო მთავრობამ საჭიროთ დაინახა მოეხდინა მობილიზაცია კიევისა, ოდესისა, მოსკოვისა და ყაზანის სამხედრო ოლქებში...

პეტერბურგი. ოფიციალური. ჩვენგან წამოყენებულ მშვიდობიან ზომების ასეთმა უშედეგობამ გვაიძულა გაგვეფართოვებინა საომარი ზომები, ამით გამოწვეულ ბერლინის კაბინატის შეკითხვაზე პასუხი იყო, რომ რუსეთი იძულებულია შეუდგეს საომარ მზადებას, რათა დაიცვას თავისი თავი ყოველივე შემთხვევისაგან. რუსეთი ამასთანავე ყოველის ძალით განაგრძობდა იმ საშუალების ძებნას, რომელიც გამოიყენანდა ევროპიელ მდგომარეობიდან და გამოსთქვა სურვილი, რომ თანხმობა საკითხის გადასაწყვეტად ყოველგვარ საშალებას მიმართოს. მიუხედავათ ასეთ მშვიდობიან განცხადებისა, გერმანიის მთავრობამ 18 ივლის, რუსეთის მთავრობას მოთხოვნილება წარუდგინა რათა რუსეთს 19 ივლისს 12 საათისთვის შეეწერებინა საომარ ზომათა მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში იმოქმედოდა თვითვე მოეხდინა საყოველთაო მობილიზაცია. მეორე დღეს, 19 ივლის, გერმანიის ელჩმა, თავის მთავრობის სახელით, საგარეო მინისტრს ომის გამოცხადება აუწყა.

ბარსა. 18 **ივლისი.** მინისტრთა ბჭობა პუანკარეს თავჯდომარეობით შუადამედი გაგრძელდა. პუანკარემ მოაწერა ხელი სამს დეკრეტს. პირველი დეკრეტი შეეხება ვექილების პროტესტის შეწერებას ლებისა ხალხში ხომ სულ დაბალსაფეხურზე სდგას, და შეიძლება ითქვას, რომ, თითქმის, არ არსებობს. **ვრდარასა და ვასტერაცას** ხეობებში და აგრეთვე ეპირში მცხოვრებმა ალბანელებმა კიდევ ასე თუ ისე განიკადეს ბერძნებისა და სერბების კულტურის გავლენა, მთაში შეხვნელები კი, სასტიკათ იკავდენ ძველ წესჩვეულებებს და მედგრათ იბრძოდენ ყველა მის წინააღმდეგ, ვინც მათს თავისუფლების შეზღუდვას განიზრახავდა.

რადგანაც ოსმალეთის სულთნები ეგრაფერს გახდენ მათთან იარაღით ბრძოლაში, მათ გულის მოსაგებათ უსისინდდენ მათ ბატონებს და სლავიანებს, ჭკვეფავდენ მათგან საუკეთესო სამხედრო რაზმებს, თვით **ალბანელ ჭამადას** გვარდია ილდიზ კიოსკში ალბანელებისაგან იყო შემდგარი. მაგრამ ვერაფერს ვერ შეეძლო მათი მოსყიდვა; როგორც თავიერმასთან, ისე მეზობელ ერებთან დამოკიდებულებაში, ალბანელები, ანუ როგორც მათ ოსმალურათ „**არნაუტებს**“ ეძახიან, მართლა არნაუტულ*), მოუსვენარ როლს თამაშობდენ. მართალია, უკვე მეოთხმოცე წლებში შესდგა **აბდულ ხამიდის** ბიგა. მაგრამ მისი გავლენა ალბანელებზე ძალიან უმნიშვნელო იყო, ამიტომ მოხდა, რომ ისინი სრულიად მოუმხადებელი შეხვედენ თავის დამოუკიდებლობას.

ყველა ზემო ნათქვამით ჩვენ დავინახეთ, თუ რამდენ ეროვნებათა ინტერესების შეტაკება ხდებოდა შედარებით ერთ პატარა სივრცეზე, თუ რა მოსაზრება მოახდინა საზოგადოებაზე; პოლიტიკა ერთ ხმათ და ვულახდილათ ამბობს, რომ იაპონია ინგლისთან ერთად იმოქმედს გერმანიის წინააღმდეგ.

საუბარი. [illegible] ინგლისელ [illegible] დობანი ევროპაში გემს აღარა გზავნან. ინგლისისკენ კი გემები ისევ მიდიან.

ბარსა. ეორესის მკვლელი რაულ ვილლენი 29 წლისაა. იგი ყოფილი შვილი რეიმსის სამოქალაქო სასამართლოს მდივნისა.

ლონდონი. (19 ივლისი). ბერლინიდან იტყობინებიან, რომ ნაშუადღევის 5 საათზე იმპერატორმა ვილჰელმმა ხელი მოაწერა მობილიზაციის შესახებ.

პარსა. გამოცხადდა საყოველთაო მობილიზაცია.

პეტერბურგი. (20 ივლისი). დღეს დილით გერმანიის ელჩი და საელჩოს ყველა მოსამსახურე ფინლიანდიის გზის საზღვარგარეთ გაემგზავრენ.

ბრიუსელი. გერმანელები შევიდენ მაკენბურგში, ხელი ჩაიგდეს მთავრობის დაწესებულებათა შენობები და გადასჭრეს ტელეფონის მავთულები.

ლონდონი. ომის გამოცხადების შემდეგ პოლიკია ჰფანტავდა გერმანელ და ფრანგ მანიფესტანტებს. ბრმა თავს დაეცა ორ გერმანელს, რომელთაგანსაც ერთს გაშიშვლებული ხმალი ეჭირა ხელში. პოლიციამ დაიფარა იგინი.

ქუთაისი.

ახალი ამბავი.

✦ დღეს, 22 ივლისს, ქალაქის თეატრში, ნაცვლათ 20 ივლისისა, შაფუ ამბრეკიძი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „საკართველოს ეკონომიური ზრდა“. ლექციის პროგრამაა: 1) ეკონომიური წესწყობილება მე-19 საუკუნის დასაწყისში; 2) ეკონომიური კატეგორიები ხალხთა დასახელებაა; 4) სოფლები და ქალაქები; 5) პირველი აღმინისტრატიული რეფორმები; 6) საგლეხო რეფორმა; 7) დასაწყისი ეკონომიური განვითარებისა; 8) ლიტერატურა და ეკონომიური ზრდა; 9) საქართველოს კულტურული ზრდა ეკონომიური აღორძინებით და 10) დასკვნა.

✦ გუბერნატორის სამართველო ქალაქის გამგეობას ატყობიებს, რომ აცნობოს რა ფასი აქვს ამ ჟამათ სანოვაგეს ქუთაისში და როგორ იყიდება საქონლის სხვადასხვა საკვები.

✦ ბელეტრისტი დავით კლდიაშვილი საავთმყოფოდან უკვე გამოუწერა. ის ამ ჯამათ კარგათ არის.

✦ 13 ივლისს დ. ჭიათურაში ბ-ნ ძუკელოლოვას ლოტბარობით გაიმართა კონცერტი. კონცერტს ხალხი ბლომათ დაესწრო და ძლიერ მოეწონათ.

მაკედონიის ეროვნებათა ბრძოლა თავისუფლებისათვის.

გაგძელება იხილე „იმერეთის“-ს 103-ე №

გარდა ბერძნებისა და ბულგარელებისა, სერბები და ვალახებიც აცხადებდენ თავი სუფლებებს მაკედონიაზე. სერბების შეხედულებით ყველა სლავიანურ დიალექტზე მოლაპარაკე მცხოვრებნი ძველი დიდი სერბიის ნაშთები იყვენ. თუ, გაიძახოდენ ისინი, ბულგარელებს თავი მოაქთ იმითი, რომ მეათე საუკუნეში მთელი მაკედონია მათ ეკუთნოდათ, განა მეთოთხმეტე საუკუნეობში ეს მხარე ფუჩანის იმპერიის საზღვრებში არ შედიოდა? ვინ იბრძოდა შუგეთის მანდორზე? ან ვინ იყო მაკედონიაში გაბატონებული ოსმალების შემოსევამდი, თუ არა სერბები?

ბულგარელი პატრიოტები უარს ჰყოფდენ სერბების არსებობს მაკედონიაში, სინამდვილით კი მათ რაოდენობა თვით ოფიციალური რიცხვით 500000 სპარბობდა ბრანტინის ეპეკოს და ბრანჩრვის სანაჯაკებში, რომელთაც აქამდი შენახული ჰქონდათ „ძველი სერბიის“ სახელი. აქ მცხოვრენი სერბები ბალკანეთის ყველა ქრისტიანებზე აუტანელ მდგომარეობას განიცდიდენ გარშემო მობინადრე მუსულმანი ალბანელები, თავით ფეხამდი შეიარაღებულნი, ისე უყურებდენ ქრისტიანან სერბებს, როგორც მონებს, ან კიდევ უარესი, როგორც ნადირობის საგნებს. აწიოკება, კვლა და ძარცვა გლეჯა არ შეწყვეტილა ბალკანეთ-ოსმალეთის უკანასკნელ ომამდი.

კოსოვოს ველაეტს გარდა, სერბთა ელემენტი არ იყო მკიცრიცხოვანი აგრეთვე მონასტრისა და უსკეუბის ვილაეტებში, სადაც 100,000 სერბი მოსახლეობდა; ამ პირობათა მიხედვით, სერბიას არ შეეძლო არ ჩარეულიყო საერთო მაკედონიის საქმეებში და არ მოეთხოვა შესაფერი ალაგი მათი მოოიგების დროს. მით უფრო, რომ აწინდელი სერბიის გეოგრაფიული საზღვრები ფრიად აფერხებდა მის ეკონომიურ განვითარებას და ავსტრიის მონად ხდიდა. მაკედონიის შეერთება კი დაუახლოებდა სერბიას საერთაშორისო ნავსადგურს და, თუ საქმე კარგად დატრიალდებდა, შეიძლება ის სრულიადაც ჭეშმარიტად, შეერთებოდათ მათ. პროპაგანდისათვის სერბებმა მიმართეს თავის მეზობლების მაგალითებს, მათაც შეჰქმნეს მრავალი რაზმი, ეაარსეს შეოლები და ქადაგობდენ დიდი სერბიის იდეას.

რუმინის მთავრობამ დაინახა, თუ როგორ ძლიერდებოდა ბალკანეთის სახელმწიფოთა პროპაგანდა მაკედონიაში, დაუწყო მფარველობა რუმინულ დიალექტზე მოლაპარაკე ვალახებს, რომელნიც თ ეს ძველ რომაელთა ოლონისტების ნაშთად სთვლიან. მეცამეტე საუკუნის ერთ ხანაში **ალბანეკი**, მათ ტომიდან გამოსული მეფე, მართავდა რომანო-ბულგარულ იმპერიას, რომელიც დანიუბისა და ბინდის შუა მდებარობდა. რუმინიაში დაარსებული კომიტეტის წყალობით, რომელსაც მიზნათ ქონდა, ოსმალეთში მცხოვრებ რუმინელთა ეროვნების აღდგენა, მაღე ასზე მეტი ბოლ ალგანელ ალბანელებ ალბანელ ალბანელ ალბანელ

როგორც სოფ. თერჯოლიდან (შორაპ-ნის მაზრა) გვატყობინებენ, ჩხუბის დროს ბარნაბა მხეიძეს მუცელში ხანჯალი ჩაუცრეს სამსონ მხეიძისთვის. დაჭრილი იქვე დალეულა.

✦ მგოსანი გელა (გელაზანია) შაბათს, 19 ივლისს, ღამით ასტრახანს გაემგზავრა. ეს როგორც გადასახლებული იქ სამ წელიწადს დარჩება.

✦ დეპუტატთა საკრებულო ამ დღეებში თფილისის ქუჩაზე ახალ ბინაზე უკვე მოთავსდა წერეთლის სახლში.

✦ 25 ივლისს ოლქის სასამართლოში გაირჩევა ნესტორ ნიკაბაძისა და კონტაქიოს საქმეები.

✦ 28 ივლისს, ქალაქის თვითმართველობაში საჯარო ვაჭრობით იჯარით გაიცემა საღორაის აგარაგზე ქალაქის საიჯარო ის ადგილებიც, რომლის პატრონებსაც გადასახადი ქალაქის გამგეობაში არ წარუდგენიათ.

✦ შაბათს, 19 ივლისს, მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწემ გაარჩია 30 ებრაელის საქმე. მათ ბრალდებულდათ სანტარული წესის დარღვევა. სასამართლომ ისინი დანაშავეთ იცნო და თითო-თითო მანეთით დააჯარიმა.

✦ ქალაქის გამგეობამ პოლიციის-ტერს აცნობა, რომ მუშების გასაჩერებელ მოედნათ დანიშნული გაგარინისა და ბაზრის ქუჩის კუთხე. ამისთვის მუშებს ნება არა აქვთ ქალაქის ბაღის მახლობლათ გაჩერდენ.

✦ ქალაქის სანიტარმა შავგულიძემ ოქმი შეუდგინა ძველი მოედნის ქუჩაზე მეტლე ნესტორ ძნელაძეს, სანიტარული წესის დარღვევისათვის,

✦ ტყიბულისაკენ ამ ჟამათ მატარებელი დღეში მხოლოდ ერთხელ მიდის, ისიც ღამის თერმეტ საათზე.

✦ ქუთაისში ეტლები ძლიერ შემცირდენ, და რაც მოიპოვება, იმის ცხენები ძლიერ სუსტი და გამხდარი არიან, ეტლს ძლივს მიათრევენ.

✦ 12 ივლის სოფ. საპილაოში მსახიობ ან. მურუსიძის რეჟისორობით გამართეს წარმოდგენა. წარმოადგინეს „მოტუტუბენი“ და „გოგოს საკლო“. წარმოდგენამ ჩინებულათ ჩაიარა და ხალხიც ძლიერ დაესწრო.

თფილისი

მანიფესტაცია. ომის გამოცხადების გამო 18 ივლისს თფილისში მესამე მანიფესტაცია გაიმართა.

— ქართულ დრამატიულ საზოგადოების წარსული სეზონის ანგარიშის წაკითხვენა დასრულდა. შემოსავალი ყოფილა 63,8608 მან. 9 კაპ. ხარჯი—55,537 მან. დრამატიულ საზოგადოებას წარსულ სეზონში უზარალია 1,677 მან. 62 კ.

ტრაბოლის მუშაობა კბილეცვა კვლავ ძველებურად მიმდინარეობს. მუშაობს 30 ვაგონი ჯარისკაცთა და პოლიციელთა შემწეობით.

გაფიცულ მუშათა წარმომადგენლებმა მეფის მოადგილის თანამდებობის აღმასრულებელს გენერალ ა. ზ. მიშლაევსკის სთხოვეს, რათა არჩეულ იქნას მუშებისა და დირექციის შემთანხმებელი კომისია მუშებისთვის ანგარიშის გასასწორებლათ. გენერალმა მიშლაევსკიმ ამის ნება დართო. კომისიაში შეიკრენ წარმომადგენელნი: სამოსამართლო უწყებისა, ადმინისტრაციისა და მუშებისა.

სერბიის მემკვიდრის მანიფესტი.

დეპეშები.

ნიში. გუშინ მემკვიდრის რეგენტის გამოკეთდულ მანიფესტში ომის გამოცხადების გამო ნათქვამია: „ჩემს ძვირფას, თავგანწირულს სერბიელებს. დიდი უბედურება დაატყდა თავს ჩვენს სერბიას: ავსტრია-უნგრეთმა ომი გამოგვიცხადა. ახლა ჩვენ ყველანი ერთსულოვნათ უნდა ვიქცეოდეთ და გმირობა უნდა გამოვიჩინოთ. მუდამ, როდესაც ვენა დაინტერესებული იყო ხოლმე, სერბიელებს დიდის ამბით აძლევდენ პირობებს, რომ მათ სამართლიანათ მოეპყრობიან, მაგრამ ყველა ეს შეუსრულებლათ დარჩა. სერბიისა და ხორვატიის საზღვრებზე სერბია ტყუილათ ჰლვრიდა „ამოდენა სისხლს ვენის სასახლის ინტერესების დასაცავათ. ტყული უბრალო იყო მსხვერპლი, რომელიც მოიტანა სერბიამ ჩემის პაპის მართვის დროს კეისარის ტახტის გადასარჩენათ ამმოხებულ ერგებისაგან. ტყულად ცდილობდენ მუდამ მეგობრულ განწყობილებაში ეცხოვრა მეზობელ მონარქიასთან. ყველა ამან უბრალოდ ჩაიარა. სერბიელები, როგორც ხალხი და სახელმწიფო, მუდამ და ყველგან ეტვში ჰყავდათ და ერების წინაშე დამეკრებულნი იყვენ. 36 წლის წინათ ავსტრიამ სერბიის მამულები—ბოსნია და ჰერცოგოვინა დაიპირა, 6 წლის წინათ კი მიისაკუთრა მიუხედავათ იმისა, რომ არავითარი უფლება არ ქონდა, მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო თავისუფლებანი დაპირდა. ყველა ამან ღრმა უკმაყოფილება დაბადა ხალხში, განსაკუთრებით კი ახალგაზდობაში, რამაც გამოიწვია წინააღმდეგობა და სარაევოს მკვლელობა. სერბია გულწრფელად სწუხს ამ მოროტმოქმედების გამო. დაჰგმო იგი და გამოსთქვა თანხმობა ყველა მონაწილე პასუხისგებაში მისცეს. მალე განცვიფრებულმა სერბიამ დაინახა, რომ ეტყვის გარეშეა, რომ სლავიანთა მაკედონიის ელემენტები გაცილებით სჯობობენ სხვებს, მაგრამ ვინ არიან ეს სლავიანები, ბულგარლები თუ სერბები. თუ რანაირი უთანხმოება არსებობს ამის შესახებ ამ ორი ეროვნების შორის, ამას გვაჩვენებენ, მაგალითად, იგივე რიცხვები. როდესაც სერბეი თავისთავს 2,048,320 სთვლიან, ბულგარლებს მათი რიცხვი მხოლოდ 700 აყავთ!? წინააღმდეგ ბულგარლების სტატისტიკით ისინი 1,184036 სული არიან, სერბების ანგარიშით მხოლოდ 57600.

მართალია, ბევრი ფილოლოგის აზრით, მაკედონიის სლავიანთა დიალეკტი უფრო ბულგარულ ენას უახლოვდება, ვიდრე სერბიულს, მაგრამ ამა თუ იმ უფლებაზე მსჯელობის დროს მარტოკა ენას არ შეუძლია იქნიოს ერთადერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა. საჭიროა, მხედველობაში მაყოდთ თვით ხალხიური შეხედულება და ხასიათი, რაც, ჩემის აზრით, ყველაზე რაციონალური და სამართლიანი კრიტერიუმი იქნებოდა მაკედონიის საკითხის სახელოოთ გამოკვეევის დროს. ვერაფის ვერ შეუძლია დაავალოს ამა თუ იმ პროვინციაში მოსახლეთ, რომ ისინი უთუოდ ბულგარელები გახდენ, მხოლოდ მარტო იმიტომ, რომ იგინი თავისი დიალეკტით უახლოვდებიან ბულგარლებს და შეიძლება თვითონ თავის თავს კი სერბებათ სთვლიან და სხვა ჩვეულებრივი საზომები; ენა, ტერიტორია, და ისტორია ვერ გამოდგება აქ, სადაც ისტორიის ბედს საუკუნეთა მსელელობაში აქ შეუქმნია ისეთ ეროვნებათა კონგლომერატი, რომ რასიული ჯეშმარტების აღდგენა ყოველად შეუძლებელი ხდება.

საევაჭრო სახლი **ი. გოკიელის** შვილების ქუთაისში.

ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ, **ზომიერ ფასებში** საუკეთესო ხარისხის სახლეკარგეთის **ჯიბის დანები,** მიღებულია და იყიდება პორფფელები, უბის წიგნაკები (ენციკლები), სანგარეშო ჩოთქები, ყოველ ნაირი საწერი, სპეციალური და ფოშტის ქაღალდები.

დეკო. ლაბაეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილობა ქ. ქუთაისში.

ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა.

მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმარტურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენს მასალითა და გარანტიით დიდ საღავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი სოფლის სამეურნეო, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ინატკენ საფენი ლინოლეუმი, ლინოლეუმი საუკეთესო განთქმული ქარხნებისა და სხვა ბევ. ნინობი და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაკრობა დანიშნულია ნადდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგანი სპეციალურად. მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი. პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

Тифлисская контора Акціонернаго Общества пробочной мануфактуры ВИКАНДЕРЪ и ЛАРСОНЪ

симъ имѣетъ честь довести до свѣдѣнія почт. покупателей, что нашъ „ЛИБАВСКІЙ ЛИНОЛЕУМЪ“ въ КУТАИСѢ имѣется въ продажѣ исключительно въ магазинѣ Ф. С. ФИЛИППОВА. Въ виду того, что въ газетѣ „ИМЕРЕТИ“ недавно появилось объявленіе одной кутаисской фирмы, съ предложеніемъ „Либавскаго Линолеума“, считаемъ своимъ долгомъ предупредить лицъ интересующихся этимъ матеріаломъ, что названіе „Либавскій Линолеумъ“ принадлежитъ только производству нашихъ заводовъ и что помимо Ф. С. Филиппова въ Кутаисѣ на линолеумъ у насъ перепродавцовъ нѣтъ. Рекомендуя этотъ фабрикатъ какъ лучшую и гигіеничную настилку для половъ просимъ за смѣтами и другими справками обращаться къ названной выше фирмѣ.

დეკო. ლაბაეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის ქ. ქუთაისში.

ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმარტურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ საღავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამაგური, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ინატკენ საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის“ სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავების), საეკლესიო საკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაკრობა დანიშნულია ნადდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. პატივისცემით ფ. ფ. ფილიპოვი.

თა რიცხვი ძალიან უმნიშვნელოა. წინა წლებში პირველსარისხოვან მსახიობებს და რეჟისორებს იწვევდენ და ახლა კი ყალამბეგიშვილისა და შ. ხონელის მეტი არაენი მოუწვეთ. მოიწვეს, მაგრამ ისევ უკან წავიდა ლოლობერიძის ქალი. ლოლობერიძის ქალის წასვლას შემდეგ მოუწვეეთათ ლოლაძის ქალი და მასაც უკვე თანხმობა განუცხადებია.

როდესაც დრამატიული ჯგუფის გამგეობას საზოგადო კრება ირჩევდა, მაშინ საზოგადო კრებამ ამ ახლათ არჩეულ გამგეობას დაავალა ოთხი ან ხუთი მსახობის მოწვევა. კრებამ მსახიობთა ჯამაგირიც კი განსაზღვრა. გამგეობამ კრების ეს დადგენილება არ აასრულა და რისთვის არ აასრულა, ეს გაუგებრობაა.

აღსანიშნავია და ძალიან სასიამოვნოა რომ წელს წარმოდგენებს ხალხი ბლომათ ესწრება. უკვე სამი წარმოდგენა გაიმართა და ხალხი სამივე წარმოდგენას საკმაო დაესწრო.

ხალხი თეატრს დაეწაფა და ამ დროს გამგეობამ მსახიობთა ძალაც შეიმცირა და რეპერტუარიც ვერ გააუმჯობესა.

ხონში წარმოდგენების დადგმა ამ 15—20 წლის წინათ დაწყებულ და ესაა იმის მიზეზი, რომ ხონის თეატრს კარგი სცენის მოყვარეები ყავს. არიან აქ ისეთი სცენის მოყვარეები, რომელთაც 7 10 წლის განმავლობაში უთამაშნიათ. ამ სცენის მოყვარეების სცენაზე თავი თავისუფლათ უჭირავთ, ლაპარაკობენ თამამათ და ხშირათ მათ თამაშს პროფესიონალურ მსახიობის თამაშიდან ვერ გაარჩევთ. სცენის მოყვარეებთა შორის ცნობილნი არიან ერისტო კენქერაძე, რაჟდენ წიგნოვაძე, ილია რუხაძე და დ. მებუკე. არიან ქალი სცენის მოყვარეებიც. და მათ შორის აგ. ჭავჭავიძისა და აგ. ბახტაძის ასულნი.

კვირას, 13 ივლისს, წარმოადგინეს „ალიაქოთი კეთილშობილურ ოჯახში“ პიესა კარგათ ითამაშეს. ამ საღამოს თავისი მოხდენილი თამაშით გაირჩეოდა ახალი სცენის მოყვარე ქალი. მ. ბალანჩივაძისა. მისთვის პასუხის საგები როლი დაეკისრებინათ. მიუხედავად იმისა, რომ ის სულ ცოტა ხანია რაც თამაშობს სცენაზე, მაგრამ მან მაინც ეს როლი ჩინებულათ შეასრულა.

— უკვე მჭონდა აღნიშნული დრამატიული ჯგუფის გამგეობის უსამართლო დადგენილება ლექციის წასაკითხად თეატრის მიქირავების შესახებ. რამდენიც უნდა გაიყიდოს ლექციის ბილეთები გამგეობას თეატრის ქირათ თუმანი უნდა მისცეს. ეს ქირა იმდენად დიდი, რომ იშვიათი ლექტორი შეიძლებს მის გადახდას. პროვინციაში ლექციის ბილეთები თუმნის მთლად არ იყიდება და ისიც თეატრს უნდა მისცეთ. გამგეობის ეს დადგენილება რომ უსამართლო და ყოვლად შეუძლებელია ეს დამტკიცა, სხვათა შორის, გიორგი მეფარიშვილის ლექციის შემთხვევამ. ამ ერთი კვირის წინათ მეფარიშვილი გვეწვია და ლექციის წაკითხვა დაპპირა. ლექციის მოსასმენათ ჩვეულებრივათ მოვიდა ხალხი. თეატრის დარბაზი სავსე იყო, მაგრამ იმდენი კი იყო, რომ მათთვისაც შეიძლებოდა ლექციის წაკითხვა. გაიყიდა სულ 11 მანეთიმდი ბილეთი. ლეკტორმა ლექცია ვერ წაიკითხა ვინაიდან 10 მანეთი თეატრს მიქონდა და სხვა ხარჯები კიდევ სხვა იყო და რამდენი ასეთი ლექცია მოაკლდება ხონის საზოგადოებას გამგეობის ამ ანტიდემოკრატიულ დადგენილების გამო. გამგეობაში არიან სასურველი ელემენტები და მათი მოვალეობა გამგეობაში აღძრან საკითხი ამ დადგენილების შეცვლის შესახებ. საზოგადოება რა შეაშია რომ ისჯება და საშუალებას მოკლებული რჩება, რომ ბევრი საყურადღებო ლექცია მოისმინოს.

გიოლა.

სამოსწავლო მთავროგის ნებართვით

ამა წლის 1-ლ ეკვნისთვიდან ვხსნი ვაგზლის ქუჩაზე, საკუთარ სახლში,

მე-3 ხარისხ-ს მოსამზადებელ

სასწავლებელს

ორივე სქესის ბავშვთათვის, რომელსაც მიზნათ ექნება ბავშვის მომზადება გიმნაზიების შესასვლელად მეორე კლასამდი.

ბავშვების მიღება დაიწყება 20 აგვისტ.

ნინო მათეს ასული

ხოშოლაგასი.

ქუთაისში

ბ. ჯაიანი

ქარხანა

**ბ. ჯ. ბ. ბ. ბ